

ქართული პოლიტიკური მჭერმეტყველება და გვიანანტიკური და ადრე შუასაუკუნეების ეპოქის პოლიტიკური პროცესები

ლაშა კერესელიძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე შუა საუკუნეების მაგისტრის ხარისხის
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად.*

შუა საუკუნეების კვლევები (ენა, ლიტერატურა, ისტორია, ფილოსოფია, ხელოვნების
ისტორია, რელიგია)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მანანა ჯავახიშვილი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

გ ა ნ ა ც ხ ა დ ი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ლაშა კერესელიძე

25/06/2021

აბსტრაქტი

ჩემ მიერ ჩატარებული სამაგისტრო კვლევის მიზანი გახლდათ გვიანი ანტიკური და ადრე შუასაუკუნეების პერიოდის ქართული პოლიტიკური მჭერმეტყველების ნიმუშების შესწავლა.

შესწავლილი და გაანალიზებული იქნა ბერძნულ-რომაულ წყაროებში დაცული ცნობები, რომლებიც შეეხებოდა ქართულ პოლიტიკურ მჭერმეტყველებას.

კვლევა შესრულდა ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი მეთოდით. ნაშრომში წყაროების კვლევისა და მათ ინტერპრეტაციასთან ერთად, დიდი ადგილი ეთმობა მჭერმეტყველური ნიმუშების სტრუქტურულ და შინაარსობრივ ანალიზს.

აღნიშნულ ნაშრომში განხილულია სხვადასხვა კლასიფიკაციის ქართული მჭერმეტყველების ნიმუშები (სამხედრო, საელჩო, სასამართლო, სათათბირო,...), რომელთაც გარკვეული კვალი დაატყვეს მიმდინარე და მომავალ პოლიტიკურ პროცესებს. ნაშრომში ასევე შესაბამისი ადგილი ეთმობა ფაზისის რიტორთა სკოლის შესახებ არსებულ მეცნიერული არგუმენტების განხილვასა და მათ ანალიზს. ასევე, მიმოხილულია ქართული პოლიტიკური მოღვაწის, ბაკურის შესახებ არსებული წყაროები.

ქართული მჭერმეტყველების ისტორიის შესწავლის მიმართულებით მხოლოდ ერთ მკვლევარს, ნიკოლოზ კანდელაკს აქვს შექმნილი ფუნდამენტური ნაშრომები. მიმაჩნია, რომ ჩემი კვლევა გარკვეულწილად სიახლეა ამ სფეროში და გამოკვეთილად და ორგანიზებულად წარმოაჩენს ქართული მჭერმეტყველების როლს პოლიტიკურ პროცესებში.

მიმაჩნია, რომ აღნიშნული კვლევა კიდევ ერთხელ წარმოაჩენს იმ კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირს, რომელიც არსებობდა ქართულ ცივილიზაციასა და ბერძნულ-რომაულ სამყაროს შორის, თვალსაჩინოს გახდის პროფესიონალური

მჭერმეტყველების მნიშვნელობასა და როლს საზოგადოების და სახელმწიფოს ცხოვრებაში. ვფიქრობ, აღნიშნული საკითხი დღესდღეობით მეტად აქტუალურია.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ანტიკურობა, შუა საუკუნეები, პოლიტიკა, რიტორიკა, მჭერმეტყველება, ორატორი.

Abstract

The aim of my master's thesis was to study the samples of Georgian political eloquence of late antiquity and the early Middle Ages.

The information preserved in the Greco-Roman sources related to Georgian political rhetoric was studied and analyzed.

The research was carried out by the historical-source method, along with the study of the sources in the paper and their interpretation, a large place is devoted to the structural and content analysis of the rhetorical samples.

The mentioned paper discusses the samples of Georgian rhetoric of different classifications (military, embassy, court, council, ...), which left some traces on the current and future political processes. The paper also devotes appropriate space to discussing and analyzing existing scientific arguments about the Phasis Rhetorical School. Existing sources about the Georgian political figure Bakur are also reviewed.

Naturally, there are some studies to study the history of Georgian eloquence, but only one researcher, Nikoloz Kandelaki, has created fundamental works in the field of studying the history of Georgian orthography. I think that my research is somewhat new in this field and clearly and in an organized way shows the role of Georgian eloquence in political processes.

I believe that this study once again reveals the cultural-educational connection that existed between the Georgian civilization and the Greco-Roman world, will highlight the importance and role of professional eloquence in the life of society and the state. I think this issue is very relevant today.

Keywords: antiquity, the Middle Ages, politics, rhetoric, rhetoric, oratory.

მადლობა

მადლობას ვუხდით ჩემს ხელმძღვანელს, პროფესორს, ქალბატონ მანანა ჯავახიშვილს, სამაგისტრო კვლევის ჩატარებაში გაწეული დახმარებისათვის.